

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სამუშაო ძალის გამოკვლევა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამუშაო ძალის სტატისტიკას შინამეურნეობების შერჩევითი გამოკვლევის საფუძველზე აწარმოებს. კვლევის მთავარი მიზანია 15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის შესახებ სამუშაო ძალის (დასაქმებული, უმუშევრი, სამუშაო ძალის გარეთ მყოფი მოსახლეობა) მაჩვენებლების წარმოება.

1998-2016 წლებში სამუშაო ძალის მაჩვენებლების წყაროს წარმოადგენდა შინამეურნეობების ინტეგრირებული გამოკვლევა. 2017 წელს შინამეურნეობების ინტეგრირებულ გამოკვლევას გამოეყო სამუშაო ძალის მოდული და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამუშაო ძალის გამოკვლევად. 1998-2016 წლებში გამოკვლევის შერჩევის ზომა დაახლოებით 3 400 შინამეურნეობა იყო, 2017-2018 წლებში - 6 000 შინამეურნეობა, ხოლო 2019 წლიდან - 6 400 შინამეურნეობა.

2017 წლამდე შერჩეული შინამეურნეობა ერთი წლის განმავლობაში 4-ჯერ (კვარტალში ერთხელ) გამოიკითხებოდა, შემდეგ კი მისი ჩანაცვლება ხდებოდა ახალი შინამეურნეობით. თითოეულ თვეში ახლად შერჩეული შინამეურნეობების წილი შეადგენდა 1/12-ს, შესაბამისად წლის განმავლობაში ხორციელდებოდა მთელი შერჩევის განახლება. 2017 წლიდან შინამეურნეობები გამოიკითხება 2-(2)-2 როტაციული სქემის მიხედვით, რაც ნიშნავს, რომ შერჩეულ მისამართზე მცხოვრებ შინამეურნეობაში ინტერვიუები ტარდება ზედიზედ ორ კვარტალში, ხოლო შემდეგი 2 ინტერვიუ ტარდება ორი კვარტლის გამოტოვებით, მომდევნო წლის იმავე კვარტალებში. ყოველკვარტალურად ახლად შერჩეული შინამეურნეობების წილი შეადგენს 1/4-ს.

სამუშაო ძალის გამოკვლევას ექვემდებარებიან კერძო შინამეურნეობებში მცხოვრები 15 წლის და უფროსი ასაკის წევრები, გარდა:

1. იმ პირებისა, რომლებიც არ იმყოფებიან შინამეურნეობაში 12 თვის და მეტი პერიოდის განმავლობაში;
2. სამხედრო პირებისა (წვევამდებლები და სამხედრო პირები), რომლებიც ცხოვრობენ

ყაზარმებში;

3. საპატიმროებში, ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში, მოხუცთა თავშესაფრებში, ინტერნატებსა და სხვა ინსტიტუციურ დაწესებულებებში მცხოვრები პირებისა.

2020 წლამდე სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიურ საფუძველს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ შრომის სტატისტიკოსთა მე-13 საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებული სტანდარტები წარმოადგენდა. 2020 წლიდან საქსტატმა დანერგა მე-19 და მე-20 კონფერენციაზე მიღებული სტანდარტები და მეთოდოლოგია. შსო-ს ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად საკუთარი მოხმარებისათვის.

სამუშაო ძალა (ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა) – დასაქმებული და უმუშევარი მოსახლეობა.

დასაქმებული - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების ან მოგების მიღების მიზნით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ავადმყოფობის, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

დაქირავებული - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს სულ მცირე ერთი საათი მაინც შრომის ანაზღაურების მიღების მიზნით, ფულადი ან ნატურის სახით, ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე შვებულების, ტექნიკური, ეკონომიკური ან სხვა მსგავსი მიზეზების გამო.

თვითდასაქმებული - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე ერთი საათი მაინც მოგების მიღების მიზნით ან დროებით არ იმყოფებოდა სამუშაოზე.

უმუშევარი – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, გასული 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამუშაოს და პოვნის შემთხვევაში მზად იყო მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

მოსახლეობა სამუშაო ძალის გარეთ – 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოსაკვლევ პერიოდის (გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღე) განმავლობაში არ იყო დასაქმებული, არ ეძებდა სამუშაოს გასული 4 კვირის განმავლობაში და/ან არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

უმუშევრობის დონე - უმუშევართა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობაში.

სამუშაო ძალის მონაწილეობის დონე (აქტიურობის დონე) - სამუშაო ძალის პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.

დასაქმების დონე - დასაქმებულთა პროცენტული წილი შესაბამისი ასაკის მოსახლეობაში.